№ 242. 16 ნოემბერი, კვირა

1866—1880

16 ნოემბერი, კვირა № 242.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების" „ივერიის" რედაქციაში. გარეშე კანტორებისათვის: Въ Тифлисъ, въ ре[дакціи] „Дроэба" „Иверія"

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება"-„ივერია" ერთად. | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

ფასი განცხადებისა

პეტიტი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოით. ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოით ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

არწრუნის თეატრში

კვირას, 16 ნოემბერს

ბენეფისი

ა. ცაგარელისა

ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება

I

მათიკო

დრამა 5 მოქ. თხზ. ბენეფიციანტისა.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და პზნაურიძის თანამოქალაქ მაღაზიაში.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 14 ნოემ. გზის მინისტრი პოსიეტი გუშინ ლივადიაში წავიდა გრაფ ლორის-მელიქოვს 22 ნოემბერს მოელიან პეტერბურღში. რუსის სტამბოლელი ელჩი ნოვიკოვი 11-ს ოდესაში მოვიდა და აქედამ სტამბოლში წავა.

**სტამბოლი**, 13 ნოემ. ჰასსუნმა რომიდამ გამოგზავნა ქაღალდი, რომ ის სომხის-კათოლიკის პატრიარქობის თანამდებობას თავს ანებებს. იმის მაგიერად, ამბობენ აზარიანი იქნება.

**ვენა**, 14 ნოემბ. „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში" დაბეჭდილია, რომ ოსმალებმა დაიწყეს დულციონის ჩერნოგორიელებისადმი გარდაცემა. დულცინიოს ღუბერნატორად პოპოვიჩია დანიშნული.

**ათინა**, 14 ნოემბ. კუმუნდუროსის სამინისტრომ სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი მიართვა საბერძნეთის კაროლს.

## „ვეფხვის-ტყაოსნის" რედაქცია

ტფილისი, 15 ნოემბერს.

გუშინდელ ნომერში წაიკითხავდით სამის პირისაგან ხელმოწერილ შენიშვნას, რომელიც გვაუწყებს, რომ შემდგარა განსაკუთრებული რედაქცია ჩვენის უკვდავის პოემის „ვეფხვის-ტყაოსნის" შეცდომათა შესასწორებლად.

რუსთველი ჩვენი სასიქადულო მწერალია. საკვირველად მიგვაჩნია ამისთანა დიდებულის პოეტის ყოლა. იმის „ვეფხვის-ტყაოსნით" ჩვენ, ქართველებს, თავი მოგვაქვს. ძველადგანვე ორი ძვირფასი, წმინდა, ჭირში და ლხინში მანუგეშებელი წიგნი ჰქონიათ ჩვენ წინაპრებს; ეს ორი წიგნი იყო: სახარება და „ვეფხვის-ტყაოსანი". ერთში იხატებოდა ჩვენი რჯული, სარწმუნოება; მეორეში—ჩვენი ერობა, ქართველობა. ამ ორის წიგნით აღზრდილან ჩვენი წინაპრები; ამ ორის წიგნით გამხნევებულან, როდესაც გარეშე ანუ შინაგან განსაცდელი მიადგებოდათ....

„ვეფხვის-ტყაოსანი" უნდა მიგვაჩნდეს ჩვენ საუკეთესო ძეგლად ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, ჩვენის წარსულ ლიტერატურის და საერო ცხოვრების დიდებისა.

ამისთანა წიგნი ყველა ქართველს მუდამ თვალ წინ უნდა ჰქონდეს, მუდამ წინ უნდა ედვას, როგორც წმ. ნაწილებს, ისე უნდა ეპყრობოდეს...

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ წმინდა ნაწილების შესადარ თხზულებას ძველადგანვე ხელ-უხლებელად არ მოუღწევია ჩვენამდინ: აღმოჩენილან ისეთი მხნე და გამბედავი პირები, რომელთაგან ზოგს ჩაუმატებიათ რამე „ვეფხვის-ტყაოსანში" და ზოგს კი გამოუკლიათ; ერთს რუსთველის მართლ-წერა შეუცვლია, მეორეს ენა, ლექსი და სხვ.

ექვსი დაბეჭდილი გამოცემა გვაქვს ჩვენ ამ ჟამად „ვეფხვის-ტყაოსნისა" და არც ერთი არა ჰგავს ერთმანეთს; არა გვანან ერთმანეთს აგრეთვე არც ძველი ხელთ ნაწერები, რომელნიც ახლაც ბლომათ მოიპოებიან ჩვენში.

ამას გარდა ჩვენ არა გვაქვს თითქმის არავითარი ნამდვილი ცნობა „ვეფხვის-ტყაოსნის" დამწერზე: ნამდვილად და ბეჯითად არ ვიცით ვინ იყო რუსთველი, როგორ დასწერა იმან ეს თავის დაუვიწყარი პოემა, ვისზე დასწერა, რა გარემოებაში დასწერა და სხვ. და სხვ.

ამიტომაც დიდის სიამოვნებით შევიტყეთ ჩვენ ზემოხსენებულ რედაქციის დაარსება, რომელიც განსაკუთრებით იმ განზრახვით შესდგა, რომ ყოველის მხრით შეასწოროს ეს დიდებულის პოეტის დიდებული ქმნილება, აღადგინოს ის და ამასთანავე მოაგროვოს რამდენათაც კი შესაძლებელი იქნება თვითონ ავტორის შესახებ ბიოგრაფიული ცნობანი.

ეს დიდი, ყოვლად საქები და ჩინებული განზრახვაა.

## «დროების» ფელტონი, 15 ნოემბ.

### შარლოტა კორდეს საქმე.

გაზეთის „ფიგაროს" საკვირაო დამატებაში ერთის დიდი რევოლიუციისდროინდელ გაზეთიდამ გადმობეჭდილია შარლოტა კორდეს გასამართლება მაშინდელ რევოლიუციურ სასამართლოში.

ეს გასამართლება ნათლად გამოგვისახავს ერთის მხრით ამ გასაკვირველ ქალის ხასიათსა და მეორეს მხრით ზოგიერთ ვითარებას იმ დიდებულ დროისას, რომელსაც საფრანგეთის დიდ რევოლიუციას უწოდებენ.

აქედამ დაინახავთ—თუ რამდენათ უნდა ყოფილიყო ამ დიდი რევოლიუციის დროს ხალხი აღელვებული, როგორი მტრობა და ქიშპობა უნდა ყოფილიყო მაშინდელ სხვა-და-სხვა პარტიებს შორის, თუ ერთმა უბრალო ახალ-გაზდა ქალმა იქამდინ მიაღწია, რომ თავის მოწინააღმდეგე პარტიის ერთი მეთავეთაგანის მოკვლა განიზრახა და სისრულეშიაც მოიყვანა ეს განზრახვა.

მაგრამ ყველა ამას თვით ამ საქმიდამ გაიგებთ.

—

სეკრეტარმა წაიკითხა ბრალდებულის ქალის შარლოტა კორდეს გამამტყუნებელი ოქმი.

**სასამართლოს თავს-მჯდომარე** (ბრალდებულს):—მაიგეთ თქვენ რასშიაც გამტყუვნებენ?

**შარლოტა კორდე**. მაიგე.

სასამართლომ მოისმინა მოწმეების ჩვენება.

**ევრარის** ქალმა აჩვენა, რომ შარლოტა კორდე 13 ივლისს დილით მოვიდა მარას სადგომში და, იკითხა, მოქალაქე მარა შინ არის, თუ არა? როდესაც მე უთხარი, რომ დეპუტატი მარა ავათ არის და ვერავის ვერ ინახულებს-მეთქი, უკან დაბრუნდა. შემდეგ შ. კორდემ რაღაც წიგნი მოსწერა მარას და ამის შემდეგ მარამ მითხრა, რომ ერთი ქალი მოვა შაბათს საღამოს 8 საათზედაო და შემოუშვი ჩემთანაო. დანიშნულ დროს ეს ქალი (შ. კორდე) მოვიდა, მე გაუღე კარები და შეუშვი მარას კაბინეთში, სადაც საბანებელი აუზი (ვანნა) იყო. ცოტა ხანს შემდეგ კაბინეთიდამ რაღაც ხმა მომესმა. საჩქაროდ შეველი. ვნახე, რომ მარა აუზში წევს, აუზის წყალი სისხლით შეღებულია და ეს ქალი კი იქვე ფარდასთან იდგა. ვტაცე ამას ხელი და მეზობლებს დაუყვირე. მეზობლები მოცვივდნენ, ნახეს, მარა ხმას ველარ იღებს. ამოიყვანეს აუზიდამ და ლოგინზე დააწვინეს... ხმა არ ამოუღია, ისე დალია სული.

**შ. კორდე**. (მოწმეს სიტყვას გააწყვეტინებს). დიახ, მე მოვკალი მარა.

**თავსმჯდომარე**. რამ გაიძულათ თქვენ, რომ ეს საქმე ჩაგედინათ?

**შ. კორდე**. იმისმა ბოროტებამ.

**თავსმჯდ**. რა ბოროტებამ?

**შ. კორდე**. რაც რევოლიუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში უბედურება მოხდა, სულ იმის ბრალი იყო.

**თავსმჯდ**. ვინ გირჩიათ თქვენ მარას მოკვლა?

**შ. კორდე**. არავინ. მე მომივიდა თავში ეს აზრი და მევე შევასრულე.

მოწმემ **ლორან ბასსმა** აჩვენა, რომ შაბათს, 13 ივლისს, საღამოს მერვე საათზე ის იყო მარას სადგომში, გაზეთებს ჰკეცავდა და ამ დროს ნახა, რომ ეს ქალი (კორდეზე უჩვენებს) კარებს მოადგა; ევრარა და გოგოს არ უნდოდა ამის შეშვება მარასთან, მაგრამ თვითონ მარამ უთხრა, შემოუშვითო. ცოტა ხანს შემდეგ კაბინეთიდამ მომესმა ხმა: „ჩემთან, ჩემთან, მიშველეთ!" შეველი მარას კაბინეთში და ვნახე, რომ ის აუზში სწევს და გულიდამ სისხლი მოსჩქეფს. შემეშინდა დავიყვირე, რომ ვინმე მოგვშველებოდა. კარები ჩავკეტე, რომ მკვლელი არ გაქცეულიყო...

**თავს-მჯდომარე**. რა გაქვსთ თქვენ სათქმელი ამ ჩვენების შესახებ?

**შ. კორდე**. არაფერი არა მაქვს სათქმელი. მოწამე სწორედ ისე ნამდვილად ამბობს, როგორც საქმე მოხდა.

შემოიყვანეს მეორე მოწამე მზარეული დედაკაცი **ჟანნა მარეშალი**, რომელმანც თითქმის გაიმეორა წინანდელ მოწმეების ჩვენება, დაუმატა მხოლოთ, რომ როდესაც ყვირილზე შეველი კაბინეთში, მარა თვალ-ღია იყო, ენას ველარ ანძრევდა და ხმასაც ვერ იღებდაო.

**შ. კორდე**. სწორეთ ნამდვილია.

სახლის ასამა **მარბ ობენმა** სთქვა, რომ შეველი კაბინეთში და ვნახე, რომ მარას გულიდამ სისხლის ნაკადული მოდის: შევშინდი და დავიყვირე: „მარაჰ მოჰკლეს! მიშველეთ!"

**მარი გრელიემ**—სასტუმროს პატრონმა—სთქვა, რომ ბრალდებული ხუთშაბათს მივიდა იმის სასტუმროში, დაიჭირა ერთი ოთახი და მოითხოვა ლოგინი, ძალიან დაღალული ვარ, მეძინებაო. შემდეგ პალე როიალის (სასახლის) გზა იკითხა, სადაც ჰკითხულობდა ვიღაც ერთ კაცს, რომლის სახელი დამავიწყდა.

**თავს-მჯდომარე**. (კორდეს). ვინ იყო ის კაცი?

როცა რომელიმე ხალხი იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებით ამ ჟამად, როდესაც ერს თავის ვინაობა ავიწყდება, როცა ის ყველაფერს, რაც მშობლიურია, რაც გვარტომობის დამამყარებულია, გულ-გრილად შესცქერის;—ამისთანა დროს ძველ მწერლობის გახსენებას, ძველ მამა-პაპეულ ნანგრევთა, ნაშთა აღდგენას, განახლებას, მოგონებას დიდი, განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის; ყველა ეს ამხნევებს, თავის თვალში ამაღლებს, აკეთილშობილებს, ახალ იდეალებს აღმოუჩენს და ენერგიას უმატებს ამ გვარ ერსა

ჩვენის აზრით, სწორეთ ამ გვარი მნიშვნელობა აქვს „ვეფხვის-ტყაოსნის“ კარგათ გამოცემას, აღდგენას და იმის დამწერის გაცნობას.

ამიტომაც აღტაცებით მივეგებებით ჩვენ „ვეფხვის-ტყაოსნის“ რედაქციის დაარსებასა და სრული იმედი გვაქვს, რომ ყველა ქართველი, რომელსაც კი რითიმე დახმარება შეეძლება ამ რედაქციას დაეხმარება, ხელს მოუწყობს იმას და ამ ნაირად მძიმე ტვირთს შეუმსუბუქებს. ეს საზოგადო საქმეა და საზოგადო საქმეში ყველა ვალდებულია დაეხმაროს იმას, ვისაც ამ გვარი საქმე უკისრნია...

## ახალი ამბები

—

ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო ამბავი: „ამბობენ, რომ, გრაფ ლორის-მელიქოვის მოხსენებით, ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანაო, რომ მომავალის 1881 წლის 1 იანვრიდამ მარილზედ ბაჟი მოისპოსო. ამ საგნის შესახებ მალე უმაღლესი ბრძანება უნდა გამოვიდეს“.

დიდი ხანია ლაპარაკობენ ამ მარილზე გადასახადის მოსპობის შესახებ, რომელიც, უეჭველია, დიდი შემსუბუქება იქნება ღარიბი ხალხისათვის; იმედია, ახლა შესრულდება ეს საზოგადო მოლოდინი და ნატვრა.

* * *

მოვაგონებთ ჩვენი ქართული სცენის თანამგრძნობთ, რომ დღეს, კვირას, არწრუნის თეატრში დანიშნულია არტისტის ავქ. ცაგარელის ბენეფისი; ითამაშებენ ბენეფიციანტისავე ხუთ-მოქმედებიან ახალ დრამას „მათიკოს“.

* * *

ზემო-იმერეთიდამ კიდევ საჩივარი მოგვდის გლეხი ხალხის გან, რომ ამ გზებზე უდროვოთ მუშაობამ ერთობ შეგვაწუხაო. სოფლებისათვის გამოსადეგი რომ იყოს ეს გზა, კიდევ ჰო, როგორც იქნება მოვითმენთო; მაგრამ უბედურება ის არისო, რომ გზა ისეთ ალაგებზე გადის, საცა სოფლებს თითქმის სრულიად არ მოხვდება და ამ გზით მხოლოთ მერცენფელდის ქვა-გუნდის კამპანია ისარგებლებსო.

ჩვენი შორაპნელი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ ქუთაისის ღუბერნატორს დაუბარებია ის გლეხი ჭიჭინაძე, რომლის არზის პირი, ზემოხსენებულ გზის მუშაობისაგან ხალხის შეწუხებაზედ, ამას წინათ „დროებაში“ იყო დაბეჭდილი. თუ ბ. ღუბერნატორი კარგათ გამოიკვლევს ამ გარემოებას, იმედია, ის დარწმუნდება, რომ ყველაფერი, რაც ამ გლეხის საჩივარში ეწერა, ნამდვილი და ჭეშმარიტი ყოფილა.

* * *

სამწიგნობრო ახალი ამბები:

ზ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიამ გამოსცა თ. რაფ. ერისთვის ხუმრობავოდევილი „ჭარიკმახერისას“. პატარა, ლამაზად და სუფთად დაბეჭდილი წიგნია. ისყიდება სამ შაურად.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა შემდეგი თხზულებანი თუ თარგმანნი: „ცოლები დავკარგეთ!“ ორ-მოქმედებიანი კომედია ალ. ბარსევანოვისა. „განათლება და კაშკაში“—ივ. როსტომაშვილის ბროშურა. „წითელი ფანარი“ — ნათარგმნი საყმაწვილო მოთხრობა, გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“. „მერცხლის ბუდე“—ავრეთვე საყმაწვილო წიგნი.

* * *

„მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია სახელმწიფო რჩევის გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებში უნდა გაიხსნას თითო საოსტატო სემინარია იმავე წესზედ, როგორც გორის საოსტატო სემინარია არის. ქუთაისის სემინარიისათვის წელიწადში ადგილობრივ შემოსავლიდამ უნდა გადაიდვას 27,800 მანეთი და ერევნის სემინარიისათვის კი 28,350 მან.

დრო—თუ როდის უნდა გაიხსნას ეს სემინარიები—დ. მ. კავკასიის ნამესტნიკზედ არის დამოკიდებული.

* * *

გაზ. „კავკაზში“ იწერებიან 9 ნოემბერს, რომ ეს სამი დღეა, რაც გომბორის მახლობლად ტყეები იწვისო და კაცი კი ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებასაო.

—

**გასწორება** გუშინდელ ნომრის მოწინავე სტატიის პირველი სვეტის მეოთხე და მეხუთე სტრიქონები (ზემოდამ), მეტრაპაჟის შეცდომით, ფელეტონის პირველი სვეტის ბოლოს არის ჩართული.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**შორაპნის მაზრა**, 5 ნოემბერს. კიდევ შავ-ქვაზედ! შორაპნის მაზრას ამ შავი-ქვით სხვა ბოლო მოელის; არა თუ ამ მაზრის ხალხისა, არამედ მთელი დასავლეთის საქართველოს ხალხის ბედს და უბედობას შეეხება ამ ჩვენი შავი-ქვის საქმე და ამისათვის არასოდეს არ იქმნება ლაპარაკი და წერა შავ-ქვაზე მეტი.

ეს არის მოვედი შავი-ქვის მაღნებიდამ. ბევრი სასიამოვნო ამბები ვნახე და შევიტყე და მინდა თქვენც გაგიზიაროთ. ბატონი ქუთაისის ღუბერნატორის შემდეგ ქვირილაში მობრძანდა გორნი უპრავლენიის გამგებელი ბ. შტეიმანი. აქედამ ის წავიდა და დახედა თავისი თვალით შავი-ქვის მაღნები. ბარონმა და სხვებმაც ხმები დაყარეს აქეთ-იქით მოსეშვილის კამპანიის ცუდათ მაღნის მუშაობაზე და სურდათ მისი მუშაობა დაეხურათ; მაგრამ საქმე სულ წინააღმდეგად გა-

—

**შ. კორდე.** დიუპერე.

**თავს-მჯდომარე** შინაგან საქმეთა მინისტრთან ხო არ უნდა წაეყვანეთ იმ კაცს?

**შ. კორდე.** მართალია, მინისტრთან უნდა წავეყვანე, რადგან ერთი ჩემი ნაცნობი ქალის ქაღალდები მქონდა სამინისტროს კანცელარიიდამ გამოსატანი.

**თავს-მჯდ.** ვინ გაგაცნოთ თქვენ დიუპერე?

**შ. კორდე**: ბარბარუმ.

**მოწ. მარი გრელიე.** როცა შევიტყე, რომ ბრალდებული (შ. კორდე) კაენიდამ იყო ახლად-მოსული, ვკითხე: „მართალია-მეთქი, რომ კაენიდამ დიდძალი აჯანყებული ხალხი მოდის პარიჟისაკენ?“ მაგრამ ამ ქალმა დაცინებით მიპასუხა: „მე ვიყავი იმდროს კაენის მეიდანზე, როდესაც დოლს სცემდნენ და აგროვებდნენ ხალხს; მაგრამ ოც-და-ათ კაცზედ მეტი არ მოგროვდა.“

**თავს-მჯდ.** რად ეუბნებოდით ამას თქვენი სასტუმროს პატრონს?

**შ. კორდე.** ვატყუილებდი, რადგან არ მინდოდა, რომ ნამდვილი გარემოება ვისმეს შეეტყო პარიჟში; ნამდვილ კი ოც-და-ათი ათასი კაცი მოგროვდა კაენში.

**თავს-მჯდ.** რა ამბავი ხდება ამჟამად კაენში?

**შ. კორდე.** იქ შესდგა ყველა დეპარტამენტის წარმომადგენელი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც პარიჟზე თავს დასასხმელად აგროვებს ხალხს.

**თავს-მჯდ.** აქედამ გაქცეული დეპუტატები რას აკეთებენ იქ?

**შ. კორდე** არაფერში არ ერევიან; ელიან იმ დროს, როდესაც ანარხია, უწესოება მოისპობა; მერე აპირებენ ჩამოსვლას და თავის მოვალეობის ასრულებას.

**თავს-მჯდ.** ბარბარუმ იცოდა, რა აზრით წამოხველით თქვენ კაენიდამ პარიჟში?

**შ. კორდე.** არა.

**თავს-მჯდ.** ვინ გითხრათ, რომ პარიჟში უწესოება ჰსუფევსო?

**შ. კორდე.** გაზეთებით ვიცოდი.

**თავს-მჯდ.** კაენში გაქცეულ დეპუტატებთან მეგობრობა ჰქონდათ?

**შ. კორდე.** არა; მაგრამ მე ყველასთან მილაპარაკნია.

**თავს-მჯდ.** რას აკეთებენ ისინი კაენში.

**შ. კორდე.** სასიმღერო ლექსებსა სწერენ, პროკლამაციებს აბეჭდვინებენ და ხალხს ურჩევენ—ერთად იყვნენ, პარტიობა და ერთმანეთში განხეთქილება ნუ ექმნებათ.

**თავსმჯდ.** რას ამბობენ ისინი: რისთვის გამოეიქეცით პარიჟიდამაო?

**შ. კორდე.** ამბობენ, სიკეთე არ მოგველოდა ახლანდელ მმართებლობისგან და იმიტომ წამოვედითო.

**თავსმჯდ.** რობესპიერზე და დანტონზე რაღას ამბობენ?

**შ. კორდე.** რომ ამათ და მარამ მოახდინა ჩვენში ყველა არეულობა და შინაგანი განხეთქილება.

**თავსმჯდ.** იმ განზრახვით ხომ არ მოსულხართ ნაციონალურ კონვენციაში*), რომ იქ მოგეკლათ მარა?

**შ. კორდე.** არა.

**თავსმჯდ.** ვინ მოგცათ თქვენ იმის ადრესი, რომელიც ჯიბეში გიპოვნეს?

**შ. კორდე.** ერთმა მეფაეტონემ.

**თავსმჯდ.** იქნება დიუპერემ მოგცათ?

**შ. კორდე.** არა.

**თავსმჯდ.** ვისთან უფრო ხშირად დაიარებით თქვენ კაენში?

**შ. კორდე.** ხშირად თითქმის არავისთან დავიარებოდი. ხანდისხან მივდიოდი ხოლმე აფიცრის ლარნის ოჯახში და სან-ჟანის ეკკლესიის მღვდელთან.

**თავსმჯდ.** რა ერქვა ამ მღვდელს.

**შ. კორდე.** დიუვივიე.

**თავსმჯდ.** ერთ-ერთ აქედამ გაქცეულ დეპუტატებთან ხო მეგობრობა არ გქონიათ?

**შ. კორდე.** არა.

**თავსმჯდ.** პარიჟში წამოსასვლელი ბილეთი ვინ მოგცათ?

**შ. კორდე.** სამის თვის წინეთ მქონდა აღებული.

**თავსმჯდ.** რა განზრახვა ჰქონდათ, მარას რომ ჰკლავდით?

**შ. კორდე.** მარა ჩვენი ქვეყნის ამრევი და განხეთქილების ჩამომგდებად მიმაჩნდა. იმის მოკვლით მინდოდა მშვიდობიანობა ჩამომეგდო საფრანგეთში. მოკვლის შემდეგ, რომ არ დავეჭირეთ, ინგლისში გაქცევა მინდოდა.

**თავსმჯდ.** დიდი ხანია, რაც ეს განზრახვა ჩაგივარდათ გულში?

**შ. კორდე.** 31 მაისის შემდეგ, ე. ი. იმ დღიდამ, რა დღესაც ხალხის წარმომადგენლები დაატუსაღეს.

**თავსმჯდ.** კაენში მყოფ დეპუტატების კრებაზე და მოლაპარაკებაზედ ხო არ დასწრებულხართ?

**შ. კორდე.** არასოდეს.

**თავსმჯდ.** მაშ თქვენ მარტო გაზეთებიდამ იცით, რომ მარა ანარხისტია, ჩვენში უწესოების ჩამომგდები?

**შ. კორდე.** დიახ, მე ვიცოდი, რომ ის ჰღუპავდა საფრანგეთს. ერთი კაცი მოვკალი იმ განზრახვით, რომ ასი ათასი სხვა დამეხსნა. მე ვიცოდი, რომ მარა ზნეობით მახინჯი კაცი იყო. რევოლიუციამდინ ვიყავი რესპუბლიკის თაყვანის-მცემი და საკმაო ენერგიაცა მაქვს, რომ იმას ვემსახურო.

**თავსმჯდ.** როგორ გესმისთ თქვენ ენერგია?

**შ. კორდე.** ენერგია ის არის, როდესაც ადამიანი თავის კერძო პიროვნებას დაივიწყებს და სამშობლოსათვის თავის შეწირვას შეიძლებს.

(გაგრძელება)

*) მაშინდელი დეპუტატთა პალატი ანუ კრება ხალხის წარმომადგენელთა

ეროვნული

მოვიდა: შტეინმანმა ნახა ორივე კამპანიის მუშაობა და ბოლოს აი რა აზრი გამოთქვა ბევრ პირთან: „ხმები გავრცელდა, რომ მოსეშვილის და ავერინოს კამპანია ცუდათ მუშაობენ შავ-ქვასაო. მე დავრწმუნდი ეხლა, რომ ეს ხმები ტყუილი ყოფილა. ისინი კარგად მუშაობენ; მაგრამ თვითონ ბარონის კამპანია კი არ მუშაობს კარგად და შეიძლება, რომ მისი მუშაობა დადგესო, თუ რიგიანად და მთის წესდებისამებრ არ იქნა მუშაობა წაყვანილი".

ავერინოს და მოსეშვილს მათი კამპანიის საქმის მოხსენებას დიდი მთავრის ნამესტნიკისადმი დაჰპირდა და, შეიძლება, უთხრა მათ, ამ კეთილის საქმისთვის მმართებლობამ შემწეობაც აღმოგიჩინოსო. ერთის სიტყვით, ყველა აქაური გარემოების მოხსენებას უმაღლეს მთავრობისადმი დაჰპირდა მცხოვრებლებს და შემწეობასაც. ღმერთმან ქმნას...

ყველას გვეგონა, რომ ბარონ მერცენფელდის კამპანია ავერინოს და მოსეშვილის კამპანიას გააქარწყლებსო; მაგრამ მოტყუებული დავრჩით! ყველა საუკეთესო ადგილები ჭიათურიდამ მოკიდებული ყვირილამდის ავერინომ დაიჭირა სტანციებისათვის შავი-ქვის დასაწყობათ და საბალახოთ. ეხლა ბარონმა მერცენფელდმა სთხოვა ავერინოს, ნუ წავახდენთ ერთმანეთსა, მომეცი მეც მონაწილეობა მაგ შენ ადგილებშიო. როგორც ეტყობა ავერინომ შეუსრულა თხოვნა ბარონს...

ბარონმა დაჰყარა ხმა, რომ სადაც ქვეყანაზე საჭირო არის შავი-ქვა მე ვარ კანტრაქტით შეკრული და ჩემს გარდა კამპანია სხვა არ მოხერხდებაო. ესეც ტყუილი გამოდგა! ორი კამპანია შესდგა კიდევ იმ შავ-ქვებზე, რომელიც აბაშიძეების მამულში აღმოსჩნდა ს. ნავარძეთში და რგანში. ერთი კამპანია შეურიგდა თავად ზურაბ აბაშიძეს და მეორე თ. ივანე აბაშიძის შვილებს. ერთიც და მეორეც ორ-ორ კაპეიკათ შეურიგდნენ ფუთს, მაგრამ წინდაწინვე აძლევენ პირველ მათგანს 3,000 მან. და უკანასკნელებს 10,000 მ. თუ სულ არც ერთი ფუთი არ გაიტანეს წელიწადში შავი-ქვა, ეს ფულები მაინც უნდა მისცენ და თუ მეტი გაიტანეს და მეტი ფულებიც უნდა მისცენ. სხვა კამპანიებიც დგებიან, მაგრამ ჯერ მათი არაფერი ვიცით.

ხმები დაყარეს, ბევრგან არი შავი-ქვაო, მაგრამ ეს ოინობა იყო თურმე. ჭიათურის შავი-ქვის მადნების გაიაფება უნდოდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. მართალია, სხვაგანაც ბევრგან ყოფილა შავი-ქვა; მაგრამ იმ თვისების არც ერთი არ ყოფილა, როგორისაც აბაშიძეების და წერეთლების ყოფილა.

ამ დღეებში აქ ძლიერ ცუდი ამინდები იყო. სიმინდს და ყურძენს დათოვა. წარმოიდგინეთ, იმ მუშების მდგომარეობა, რომელნიც ყვირილის გზას ადგიან საკეთებლათ, რა გუნებაზე იქმნებოდნენ, როდესაც მათ ყურძენს და სიმინდს ათოვს. მაგრამ ღმერთმან უშველოს ჩვენი მაზრის უფროსის თანაშემწეს ბ. ალავიძეს, რომელმანც ორიოდე საზოგადოების მუშები დაითხოვა ორი კვირის ვადით გზის მუშაობიდამ. საწყლები სულ აჭყლოპინებული დაბრუნდნენ შინისკენ. ამბობენ, ეს ღუბერნატორის საქმეაო და თუ მართალია, სწორეთ გითხრათ, მისი მოსვლა შორაპანში ძლიერ სასარგებლო გამოდგა...

ბრძანება მოვიდა ქუთაისიდამ, რომლითაც გლეხს ჭიჭინაძეს, იმას, რომლის საჩივრის პირი იყო დაბეჭდილი „დროებაში" ამას წინეთ, იბარებენ ქუთაისში. ის ჯერ უეზდის სასამართლოში იყო დაბარებული და ამ საღამოის პოეზდით იასაული გააყოლეს და რკინის გზით ქუთაისში გაისტუმრეს. ბევრმა გლეხმა შეევედრა ღმერთს, რომ მშვიდობით დაბრუნებულიყოს უკან...

ჭიჭინაძესთან ერთად ერთი მამასახლისი არის დაბარებული, რომელსაც უჩივლია ნამესტნიკთან მაზრის უფროსმა ყბებში შემომკრაო. ეს მამასახლისი კი უნდა გითხრათ სწორეთ დასასჯელია! რა დიდი რამ არის თავისმა უფროსმა თავის უმცროს ნაჩალნიკს ყბაში სილა გაარტყას! იმას კი არ მადლობს ღმერთს, რომ არ გაროზგეს და ცემით არ მოკლეს, თუნდაც სულ ანგელოზივით უმანკოც ყოფილიყოს!... მერე სად მიდიან საჩივრებით? უმაღლეს მთავრობასთან. ვერ გაიგეს ერთი ჩვენი მოსამსახურის სიტყვა დარიგება; რომელიც ყველას იმას ეუბნება, რომ ყოვლად საძაგელია ის პირი, რომელიც გაზეთში რომელიმე მოსახურის ცუდ მოქმედებას ბეჭდავსო და ამასთან კიდევ სახელსაც არ აწერსო! კანონი მოითხოვს, თუ რამე ცუდ მოქმედებას შენიშნავ ვისმეში, უნდა ამხილო ჩუმათ და თუ არ გაიგონებს, მის მთავრობას, მის უფროსს უნდა ვანუცხადოო, მაგრამ საზოგადოების ვექილობაც უნდა ჰქონდესო, თორემ რა შენი საქმეა, რომ ყვირიო? რას დაეძებ შენ საზოგადოებასაო?...

ამისთანა დარიგების შემდეგ მე ჩემს სახელს და გვარს ვაწერ ჩემს ნაწერზე; მაგრამ მთლათ კი არა, სათაურ და ბოლო ასოებს ჩემი სახელისა და გვარისას. გამოვიდა თუ არა პირველი კორრესპონდენცია, შეადგინეს რჩევა ჩვენს სასამართლოში. აიღეს ეჭვი სწორეთ ერთზე, ეს ჩვენი ბლაღოჩინი უნდა იყოსო. დასწერეს თურმე ერთი უშველებელი ოტნოშენიები 11 აგვისტოს 1880 წელსა № 7307 და გაუგზავნეს, უბრძანეს: „პასუხი შემოიტანე, თორემ პროკურორთან ვიჩივლებთო. შენი მტერია, იმას სიცხე მიაყენეს! სანამ მამალი დაიყივლებდა, სამჯერ უარი სთქვა თურმე ამ ბლაღოჩინმა: სრულებით ვერ ვიცნობ ვინ არის დ—ნ. ღ—ძეო?—თუ ის არა ხარ, მისი მოწაფე მაინც ხარო... კაცო, დამიჯერეთ, მე ის არა ვარო, მაგრამ ის რასაც სწერს, სულ მართალია, ერთი სიტყვა არ არის ტყუილიო, გამოიძიეთ და შეიტყვეთო.... ჩვენ დამწერი გვინდათ შევიტყოთ და არა ის, რაც იწერებაო! მოდი და გაამტყუნე შენ ეხლა ზოგიერთები, ან მე, რომ სულ გარკვევით არ ვაწერ სახელს და სოფელსაც არ უჩვენებ, თუ სად ვსცხოვრებ!...

დ—ნ. ღ—ძე.

*P. S.* ამბობენ, ორი კაცი დაუმტვრევია ლაღმს ყვირილის გზაზე.

გუშინ წინ აქ ბატ. შურმანი მოვიდა, რომელსაც საქმე მოუგია ბარონ მერცენფელდისთვის; წაუყენა ლისტი და ანგარიში მოსთხოვა იმ ფულებზე, რაც დაუხარჯავს მას აქ მყოფობის დროს შავ-ქვაზე. ბარონის მეკანდრახტემ ოცი ვირი მორეკა ჭიათურაში შავი-ქვის საზიდავათ და აქლემებსაც მოელის. ბარონი, ამბობენ, აქედამ წასვლას აპირებს პეტერბურღში და იქ დიდ-ხანს უნდა დარჩესო!... საკვირველია, ამათი საქმე! ერთი ერთმანეთს უწოდებენ ჟულიკებს და რომელია ამათში მართალი—ვერ შევიტყვეთ.

დ—ნ. ღ—ძე.

---

კაკაბეთი, 9 ნოემბ. ძლივს არ მოგვხედა ღმერთმა და თავიდამ მოგვაშორა ეს ურიები (ვაჭრები) და სომხები (მეწვრიმალეები), რომლებიც ერთი-სამათა ჰყიდდნენ ყველაფერს და ამით ხალხს ტყავს გვაძრობდნენ! ამ ცოტახანში აქ „დეპო" გაიხსნა, რომელშიაც ისყიდება ფარჩა, საწვრიმალო და სუყველა საჭირო სოფლის ცხოვრებისათვის; ამასთან იმისთანა იაფათ, რომ არამც თუ ჩვენი სოფლის და ახლო-მახლო სოფლების ხალხი, არამედ ჭიზიყიდამაც კი მოდიან აქ სავაჭროთ, რადგანაც აქაური იაფობა გაუგიათ.

ამ დეპოს გახსნისათვის ჩვენ მადლობას უძღვნით აქაურ მასწავლებელს ბ. ლუკიანოვს, ამ სოფლის მამასახლისს და ჩვენს მღვდელს, რომლებმაც ამ მიზნის ასრულებისათვის დიდი შრომა გასწიეს; ახლა ისინიც კი თავიანთ შრომას აღარა ნანობენ, რადგანაც იმათი მიზანი ასრულდა და ვაჭრობაც ძალიან კარგათ მიდის...

ჩვენ აქაურ მამასახლის და ჩვენ მღვდელს განა მარტო ამისათვის უნდა ვმადლობდეთ: იმათ კიდევაც სხვა უფრო სასარგებლო საქმე გააკეთეს: ამათი რჩევით და ჩაგონებით, სოფელმა ფული შევკრიფეთ და აქ სკოლა დავაწესებინეთ, რომელშიაც ამ ჟამათ სწავლა მიდის. სოფელიც კი ამ კეთილ მოთავეებზე უყურადღებონი არა ვართ.

აი მამასახლისი! რადგანაცა ვგრძნობდით, რომ ამის მამასახლისობა ჩვენთვის სიკეთეა, მამასახლისობის ვადის გასვლის შემდეგ, მეორეთ ისევ ამოვირჩიეთ. მეორე მამასახლისობაში უფრო კარგათ წაიყვანა იმან სოფლის საქმე: მაგალითათ, შარშან იმისთანა შიმშილობა იყო, რომ თითქმის ყველა სოფელს დიდათ უჭირდა პური და ყველა პურსა ყიდულობდა; მაგრამ ჩვენი სოფელი, არამც თუ ყიდულობდა, ბევრიც გაყიდა. ეს რის გამო? აი მოთავის გამო! შარშან წინ ჩვენს სოფელში კარგი პურის მოსავალი მოვიდა და ჩვენმა მამასახლისმა ბლომა პური და ფეტვი მოკრიფა მთელი სოფლიდამ და მაღაზიაში ჩაყარა, ესე რომ შემდეგ, როცა მოკრეფილი პურის სია გაშინჯეს, შვიდას კოდამდის პური დადგა და ოთხას კოდამდის ფეტვი. შარშან ნაკლებ წელიწადში ამ პურიდგან, რაც სოფლისათვის საჭირო იყო, სოფელმა გაიტანა და დანარჩენი, სამოცის თუმნის პური და ფეტვი, მაზრის უფროსის ბრძანებით, მამასახლისმა მიჰყიდა აქაურ დამშეულ მუღალნოს თათრებს. სოფელმა არ მოინდომა, რომ ეს ფული მაღაზიის სასარგებლოთ წასულიყო; რადგანაც წელსაც კაი მოსავალი მოვიდა, სოფელმა მაღაზიის შევსების ვალი ისევ თვითონ იკისრა და ამ ფულით კი ინდომა, რომ ამ სოფელში ბანკი გაიხსნან. ეხლა მამასახლისი და ჩვენი მასწავლებელი დიდათა ცდილობენ, რომ ეს მიზანიც ასრულონ; ამ ფულის გარდა ისინი ზოგს თავიანთ მხრიდამ იღებენ და ზოგს სხვრიდამა ჰკრეფენ, ასე რომ იმედი გვაქვს, რომ იმ დროსაც მოვესწრობით, როდესაც ჩვენს სოფელში ბანკიც გვექნება...

ჩვენი სოფელი ამ შვიდი წლის წინათ თითქმის სუყველაზე უფრო უკანასკნელი და დამცირებული სოფელი იყო სიღნაღის მაზრაში. მაგრამ ეს შვიდი წელიწადია, რაც პატარა კარგი მოხელეები დავაყენეთ, სულ წინა-და-წინ მიდის და ეხლა რაღა თქმა უნდა, რაკი დეპოც და სკოლაც გაიხსნა, ახლა ბანკსაც აპირობენ, სოფელი თითქმის პირველი და უმთავრესი სოფელი იქნება ჩვენს მაზრაში.

კაკაბელი.

---


# განცხადებანი

თფილისის სავაჟო გიმნაზიის მთავრობა ამით აცხადებს, რომ ამ გიმნაზიის პანსიონში დაცლილა ორი სახელმწიფო ხარჯის ადგილი (ვაკანსია) ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთ შვილთათვის. ამ ადგილზედ გამოიწვევიან შემდეგი მორიგი კანდიდატები:

1) გიორგი ტატიშვილი, ძე ქვრივის აზნ. ეკატირენე ტატიშვილისა, რომელიც გორის მაზრის სოფ. შვილეთში სცხოვრობს და

2) გაბრიელ რატიშვილი აზნაურის დავით შალვასძის რატიშვილის შვილი, დუშეთის მაზრის სოფ. ქსოვრისში მცხოვრებისა.

ვინიცობაა გამოწვეულნი ყმაწვილები შეუწყნარებელის მიზეზის გამო ეგზამენზე არ გამოცხადდებიან სამი თვის განმავლობაში, მაშინ მათ ეკარგებათ პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე შესვლის უფლება.

(3—3)

### მთავარი კანტორა დანდობით ამხანაგობისა

## „იაგორ კასუმოვი და ამხ."

ერევნის მოედანი ბ. ჯაყელის სახლი.

ყიდულობს და ჰყიდის ყოველ ნაირ სარგებლიან ქაღალდებს; იძლევა სესხს სარგებლიან ქაღალდების და 5% მოგებითი სესხის ბილეთების გირაოთი ერთიდამ 12 თვემდე. სესხის გადახდა შეიძლება ერთად ანუ თვე-და-თვე გადახდით.

სხვა ბანკებში დაგირავებულნი % ქაღალდები შეიძლება კანტორამ გამოიყიდოს და თვითონვე დაიგირაოს სესხის მომატებით.

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებ მოვაჭრეთა შეუძლიათ % ქაღალდები ფოშტით გამოგზავნონ კანტორის სახელობაზედ, და კანტორა დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ ნაყიდ ადრესით ფულებს და ვასხებითი ხელშეკრულობას.

კანტორა იღებს ფულებს, რომელზედაც იძლევა, პირობათა გამოცლამდე:

1) შემონახულებათა ანგარიშებისამებრ და მოთხოვნილებამდე — — $4^1/_2$

საპირობო ანგარიშისასამებრ — — 5 —

2) 6 თვით ვადით შეტანილ ფულზე — $5^1/_2$ —

12) თვის — — — 7 —

ერთი წლის მეტით — 8 —

(% წლიურად)

3) საგანგებო პირობებით შემოტანილ ფულზე ამხანაგობის 1 ხარისხის პაის პატრონთა. — 9 —

შემოტანილ ფულების % ანგარიში წელიწადში ორჯელ მოხდება, სახელდობრ: 30 ნოემბერს და 31 მაისს; ვადით შემოტანილ ფულებზე კი, შემომტანთ სურვილისამებრ, შეიძლება % თავიდამვე გადახდილ იქმნ.

კანტორაში შეტანილი ფულის თანხა, თუ შემომტანის სურვილი იქნება, ვადის გასვლამდინაც შეიძლება დაბრუნებულ იქმნას: მოთხოვნისა 10 დღის შემდეგ, სარგებლის გამოთვლით წლიური 5 % ზომით, იმაზე უფრო ბევრი რასაც კანტორა იძლევა შემოტანისთანავე.

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებთ ფულის შემომტანლებს, რომელთაც შესანახავად ფულის შემოტანა სურთ, შეუძლიათ ისინი ფოჩტით გამოგზავნონ და იმათ იმწამსვე გაეგზავნებათ სათანადო მოწმობა.

ამხანაგობაში მყოფ პირებს, ვექსილებით სესხების მიცემის დროს, ცნობილ პირთა თავდებით, კანტორა ახდევინებს:

თვე-და-თვე გადასახად სესხზედ — — — — 10 %

კვირაში ერთხელ — 9 —

ვადამდე გადუხდელობით სესხი მიეცემა ფირმასთან საგანგებოდ შეთანხმებით.

ყიდის მოგებიან 5 % ბილეთს ორივე სესხისას, შემოსატან გადასახადის დროებით; ამასთანავე ბილეთის მყიდველს და ხვედრი ფულის ამ რიგად გადამხდელს, მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც შეიძლება ერთი წლის განმავლობაში ხვდეს იმ 20 ნომრებს, რომელიც მოხსენებულია მოწმობაში, ოთხს ტირაჟში.

იღებს შეკვეთას ოდესის ექვს სხვა-და-სხვა ნაირ მშვენიერ თვისების ხარისხის ფქვილზე, ხორბალზე, ქერზე, დიკაზე და სხვ. და სხვ. ზომიერ ფასებით. ამ სანოვაგეთა ნიმუშების ნახვა შეიძლება მთავარ ანტორაში.

სრული და დაწვრილებითი ცნობანი და ახსნა საქმისა, მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე დილის 9—დამ 2—მდე; დღესასწაულობით და კვირაობით დილის 8—დამ 10 საათამდე.

(10—5)

---

**ოქრო-ვერცხლის ნივთების გასყიდვა ჯანჯულაზოვის მაღაზიაში,** კონკურსის უპრავლენიის განკარგულებით, დანიშნულია ამ **ნოემბრის** 16-ს, კვირას, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ.

(4—4)

---

ტფილისში

## შავერდოვის გაზეთის სააგენტო

(გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შავერდოვის პავილიონში.)

**დაიწყო ხელის-მოწერის დრო 1881 წლისათვის**

ყველა დრო-გამოშვებითი გამოცემაებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: **Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.**

(25—6)

---

ინგლისის მაღაზიაში

**თმის აღმამყვანი**  **მაკ-მასტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან, გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—8)

---

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

მეადარეთ ჩვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაის—1 მ. 40 კ.

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— ,, |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— ,, | — —3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—54)

---

### ჯანჯულაზოვების მაღაზიაში

გაისყიდება ნარდათ და ნაწილ-ნაწილად, უტორგოთ, 120 ფუთი ყავა, ჩაის ქაღალდი, 14 წიგნი და ვოდკები: პაპოვისა და შტრიტერისა 40 ისჩიკი, პრობკები 20 ფუთამდინ, შამპანის ღვინო სამზღვარ გარეთისა და რუსეთისა. ჩაი ისჩიკებით 18 ფუთიანი, აგრეთვე სხვა და სხვა ფეხსაცმელები და კალოშები.

ვისაც ამ საქონლის ნარდათ ანუ ნაწილ-ნაწილად ყიდვა ჰსურს, ნახვა საქონლისა შეუძლიან მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ, ყოველ მყიდველს შეუძლიან მიჰმართოს კონკურსის წევრებს, რომელნიც გასყიდვის დროს მაღაზიაში იმყოფებიან.

(6—4)

---

**მომავალის 1881 წლის პირველის იანვრიდამ გამოვა ქართული ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი**

## „მიმოხილვა"

პროგრამმა ამ ჟურნალისა: ბელლეტრისტიკა, ისტორია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, შინაური მიმოხილვა და პოლიტიკა.

გამოვა თვეში ერთხელ შვიდი თაბახიდამ ათამდის.

ფასი ჟურნალის-წლიურადი თორმეტი მანეთი; ნახევარი წლის ოთხი-და-ათი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში ჩარკვიანის და ამს წიგნის მაღაზიაში, ქვაშვეთის ეკკლესიის შენობაში № 1 და 2 და თვით რედაქციაში გიორგიევის ქუჩაზე, არჯევანიძის სახლებში, № 11.

გარეშე ხელის-მომწერნი მომართვენ რედაქციას ამ ადრესით: **Въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Гр. Чарквіани.**

რედაქტორი და გამომცემელი
ნინო გაგაშვილი.

(5—5)

---

**ბუტენოპის ქარხნის**  **მაშინების მაღაზიაში**

მოსკოვში, მიასნიცკის ქუჩისა და ლიუბიანი მოედნის კუთხეში

მოიპოვება შემდეგი მაშინები:

ორთქლის მაშინები 3—25 ცხენის ძალისა.

სალესავი მაშინები 28 ფუტამდინ სიგრძით.

საბურღავი მაშინები.

საშალაშინებელი მაშინა.

მანომეტრები, კრანები, არმატურა.

ათეულის (დესიატიჩნია) სასწორი.

ინგლისის ქამრის ტყავები.

რკინის ტრუბები (მილები) და სხვ. და სხვ.

აქვე ჰკისრულობენ სხვა-და-სხვა ქარხნების გამართვას.

პრეისკურანტი (ფასების სია) მსურველს მოთხოვნისათანავე გაეგზავნება.

4—4

---

შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში განთქმულია და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს.

(100—70)


Дозволено цензурою. Тифлисъ 15 Ноября 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.